

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში				
1982 წლის 17 დეკემბრის საბჭოს მეცესე, 82/891/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(გ) ქვეპუნქტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ ¹		№1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	1. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები 78/855/EEC დირექტივის 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ, მათ კანონმდებლობას დაქვემდებარებულ კომპანიებს, ნებას დართავენ, განახორციელონ გაყოფის ოპერაციები წინამდებარე დირექტივის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული შემენით, მათ აღნიშნული ოპერაციები უნდა დაუქვემდებარონ წინამდებარე დირექტივის I თავის დებულებებს. 2. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები 1-ელ პუნქტში მითითებულ კომპანიებს ნებას დართავენ განახორციელონ გაყოფის ოპერაციები 21-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული, ახალი კომპანიების დაფუძნების გზით, მათ აღნიშნული ოპერაციები უნდა დაუქვემდებარონ წინამდებარე დირექტივის II თავის დებულებებს. 3. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები 1-ელ პუნქტში მითითებულ კომპანიებს ნებას დართავენ განახორციელონ ოპერაციები, რომელთა დროსაც მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ შემენით გაყოფასთან ერთად ხორციელდება 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე ახალი კომპანიის დაფუძნება, მათ ოპერაცია უნდა დაუქვემდებარონ წინამდებარე დირექტივის I თავის და 22-ე მუხლის დებულებებს.	№1	1	1. ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს. 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის წესდებით ან პარტნიორთა სხვაგვარი შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნორმა სავალდებულოდ შესასრულებელია, მათ შორის, როცა ნორმა უშუალოდ უკავშირდება მესამე პირის ინტერესის დაცვას. 3. სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ - წესდება) ასევე შეიძლება მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც არ	ნშ	კანონპროექტი უშვებს დირექტივის ამ მუხლით გათვალისწინებულ გაყოფის ფორმებს და შესაბამისად, მათზე ავრცელებს დირექტივის მოთხოვნებს. 2011/35/EU დირექტივასთან მიმართებით, იხ. შესაბამისი ცხრილი.

¹ ცხრილის შედგენისას გამოყენებულია დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია 02/07/2014-ის მდგომარეობით. 82/891/EEC დირექტივა გაუქმებულია EU 2017/1132 დირექტივით, თუმცა არ იცვლება მისი შინაარსი, ამიტომ არ წარმოშობს პრობლემას დინამიური დაახლოების ჭრილში.

	4. გამოყენებულ უნდა იქნეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/35/EU დირექტივის 1-ლი მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები			არის მოწესრიგებული ამ კანონით, ან განივრცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ამომწურავად არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს. 4. სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისგან განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. 5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ერთობლივ საინვესტიციო ფონდებზე.		
2.1	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, “შემენით გაყოფა“ გულისხმობს ოპერაციას, რომლის დროსაც კომპანია საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ლიკვიდაციის განხორციელების ნაცვლად, ერთზე მეტ კომპანიას გადასცემს თავის ყველა აქტივს და ვალდებულებას, გასაყოფი კომპანიის აქციონერებისთვის წილების გადაცემის სანაცვლოდ იმ კომპანიებში, რომლებიც გაყოფის შედეგად იღებენ კონტრიბუციას (შემდგომში „მიმღები კომპანიები“) და შესაძლო ნაღდი ანგარიშსწორების სანაცვლოდ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გადასაცემი წილების ნომინალური ღირებულების, ან ნომინალური ღირებულების არ არსებობის შემთხვევაში, მათი აღრიცხვითი ღირებულების 10%-ს.	№1	67.3. „ბ“	სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დაყოფას, შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილები კანონის ძალით სრულად: ბ) გადასცეს ორ ან მეტ, არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას (დაყოფა შემენით).	ნშ	დირექტივის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში საუბარია ყველა აქტივისა და ვალდებულების გადაცემაზე და არა მათ ნაწილზე.
		№1	67.5	ამ მუხლის პირველ-მე-4 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, გაერთიანებულ/შემენ სამეწარმეო საზოგადოებაში ყოფილი სამეწარმეო საზოგადოების/საზოგადოებების პარტნიორებს წილების მიღების გარდა, აქვთ უფლება, მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ შეუძლებელია წილების გაცვლის თანაფარდობის დაცვა. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შერწყმის/გაყოფის მიზნებისთვის პარტნიორებზე გასაცემი წილების ნომინალური ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო თუ წილებს არ აქვთ ნომინალური ღირებულება, ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების 10 პროცენტს.		

2.2	გამოყენებული უნდა იქნეს 78/855/EEC დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.	№1	67.7	შერწყმა/გაყოფა შეიძლება განხორციელდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოებების მიმართაც, იმ შემთხვევაში, თუ არ დაწყებულია სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორებზე.	სშ	
2.3	რამდენადაც წინამდებარე დირექტივა ეხება 78/855/EEC დირექტივას, „შერწყმაში მონაწილე კომპანიები“ უნდა გულისხმობდეს „გაყოფაში მონაწილე კომპანიებს“, გამოთქმა „შესაძენი კომპანია“ უნდა გულისხმობდეს „გასაყოფ კომპანიას“, გამოთქმა „შემძენი კომპანია“ უნდა გულისხმობდეს „თითოეულ მიმღებ კომპანიას“ და გამოთქმა „შერწყმის გეგმა“ უნდა გულისხმობდეს „გაყოფის გეგმას“.				ას	ტრანსპოზიციის მიზნებისთვის, წინამდებარე ნორმის კანონმდებლობაში ასახვა არ არის აუცილებელი.
3.1	გაყოფაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციულმა ან მართვის ორგანოებმა წერილობითი ფორმით უნდა შეადგინონ გაყოფის გეგმა.	№1	69.1	შერწყმის შემთხვევაში, შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოები, შეძენით გაყოფის შემთხვევაში გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოებისა და შემძენი სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელობაზე უფლების მქონე ორგანოები, ხოლო დაფუძნებით გაყოფის შემთხვევაში - გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელი ორგანო შეიმუშავებენ შერწყმის/გაყოფის გეგმას. გეგმა ითვალისწინებს შერწყმის/გაყოფის პირობებს.	სშ	
3.2.(a)	გაყოფის გეგმაში, სულ მცირე, უნდა მითითდეს: (a) გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის ტიპი, სახელი და იურიდიული მისამართი;	№1	69.2. „ა“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ა) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ასევე მისი და ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;	სშ	
3.2.(b)	წილთა გაცვლითი თანაფარდობა და ნებისმიერი ნაღდი ანგარიშსწორების ოდენობა;	№1	69.2. „ბ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:	სშ	

				ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობას და 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ანაზღაურების ოდენობას, თუ ასეთი ანაზღაურება გამოიყენება;		
3.2. (c)	მიმღებ კომპანიებში წილთა გადანაწილებასთან დაკავშირებული პირობები;	№1	69.2. „გ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: გ) შემძენ/ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებებში წილების გაცემასთან დაკავშირებულ პირობებს;	სშ	
3.2. (d)	თარიღი, რომლის დადგომიდანაც ასეთ წილთა ფლობა მფლობელს უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მოგებაში და სხვა სპეციალური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს ამუფლებაზე	№1	69.2. „დ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: დ) თარიღს, რომლის დადგომიდანაც ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული წილები უფლებას ანიჭებს მათ მფლობელებს მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო საზოგადოების მოგებაში; აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სპეციალურ პირობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს აღნიშნულ უფლებაზე;	სშ	
3.2.(e)	თარიღი, რომლის დადგომიდანაც გაყოფილი კომპანიის გარიგებები, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, მიიჩნევა ერთ-ერთი მიმღები კომპანიის გარიგებებად;	№1	69.2. „ე“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ე) თარიღს, რომლის დადგომიდანაც შერწყმული/გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების გარიგებები, ბუღალტრული მიზნებისათვის, ჩაითვლება გაერთიანებული/შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების გარიგებებად;	სშ	
3.2.(f)	მიმღები კომპანიების მიერ მინიჭებული უფლებები წილების მფლობელთათვის, რომლებსაც სპეციალური უფლებები აქვთ მინიჭებული და წილების გარდა სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის მინიჭებული უფლებები, ან მათთან დაკავშირებული ზომები;	№1	69.2. „ვ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ვ) უფლებებს, რომლებსაც გაერთიანებული/შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოება ანიჭებს შერწყმული/გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების წილების/აქციების (გარდა ჩვეულებრივი აქციებისა) მფლობელებს, ასევე იმ პარტნიორებს, რომელთა წილებს/აქციებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა	სშ	

				მინიჭებული და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ან ამ პირთა მიმართ შეთავაზებულ ზომებს;		
3.2.(g)	მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ექსპერტებისთვის და გაყოფაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციული, მართვის, სამეთვალყურეო ან მკონტროლებელი ორგანოების წევრთათვის მინიჭებული ნებისმიერი სპეციალური უპირატესობა;	№1	69.2. „ზ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ზ) ყველა სარგებელს, რომელიც ენიჭება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე რომელიმე სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორებს ან დამოუკიდებელ აუდიტორს;	სშ	
3.2.(h)	თითოეული მიმღები კომპანიისთვის გადასაცემი აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი აღწერა და განაწილება;	№1	69.2. „ი“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ი) გაყოფისას, შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისთვის გადასაცემი აქტივისა და ვალდებულებების ამომწურავ აღწერასა და განაწილებას;	სშ	
3.2.(i)	გასაყოფი კომპანიის აქციონერებისთვის მიმღებ კომპანიებში წილების გადანაწილება და კრიტერიუმები, რომლებსაც ასეთი გადანაწილება ეფუძნება.	№1	69.2. „კ“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: კ) გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებისთვის შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების წილების მიკუთვნებას და იმ კრიტერიუმის მითითებას, რომლის საფუძველზეც მოხდა ასეთი მიკუთვნება;	სშ	
3.3.(a)	როდესაც აქტივები გაყოფის გეგმით არ ნაწილდება და როდესაც აღნიშნული გეგმის პირობების ინტერპრეტაცია არ იძლევა განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, აქტივი ან მისი შესაბამისი ანაზღაურება შესაბამისად უნდა განაწილდეს ყველა მიმღებ კომპანიაზე, თითოეული კომპანიისთვის გადაცემული წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, გაყოფის გეგმის შესაბამისად.	№1	69.4	თუ გაყოფის გეგმით რომელიმე აქტივი არ არის მიკუთვნებული შემძენი ან ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისათვის და მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ეს აქტივი მიკუთვნება ყველა შემძენ ან ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივების პროპორციულად.	სშ	
3.3.(b)	როდესაც ვალდებულება გაყოფის გეგმით არ ნაწილდება და აღნიშნული გეგმის პირობების ინტერპრეტაცია არ იძლევა განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, თითოეული მიმღები კომპანია სოლიდარულად არის მასზე პასუხისმგებელი. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ, რომ ასეთი სოლიდარული პასუხისმგებლობა	№1	69.5	თუ გაყოფის გეგმით რომელიმე ვალდებულება არ არის მიკუთვნებული შემძენი ან ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისათვის და მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ყველა შემძენი ან	სშ	

	შემოიფარგლებოდეს მხოლოდ თითოეული კომპანიისთვის გადაცემული წმინდა აქტივების ოდენობით.			ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოება ამ ვალდებულებისათვის სოლიდარულადაა პასუხისმგებელი, მაგრამ არა უმეტეს გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივისა.		
4	გაყოფის გეგმა, გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიისთვის, უნდა გასაჯაროვდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 68/151/EEC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად გამართულ აქციონერთა კრების თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. დაყოფაში მონაწილე ნებისმიერი კომპანია თავისუფლდება 68/151/EEC დირექტივის მე-3 მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნების მოთხოვნისაგან, თუ განუწყვეტელი პერიოდის განმავლობაში, საერთო კრებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, რომელიც ტარდება დაყოფის პირობების შემუშავებისათვის, და მინიმუმ ამ კრების გადაწყვეტილების მიღებამდე, დაყოფის საპროექტო პირობებს უფასოდ გახდის ხელმისაწვდომს ვებ-საიტზე. წევრმა სახელმწიფოებმა ეს გამოაკლისები შეზღუდვებზე და მოთხოვნებზე არ უნდა დააწესონ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხოებისა და დოკუმენტების ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პროპორციულია ამ მიზნების მისაღწევად.	№1	71.1	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე პარტნიორთა კრების იმ სხდომამდე 30 დღის განმავლობაში, რომელზეც უნდა დამტკიცდეს შერწყმის/გაყოფის გეგმა. შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ.	სშ	
	მეორე პუნქტიდან გადახვევის გზით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ, რომ გამოქვეყნება განხორციელდეს 68/151/EC დირექტივის 3 (4) მუხლში მითითებული ცენტრალური ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. ამ მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ალტერნატიულად მოითხოვონ, რომ ასეთი გამოქვეყნება მოხდეს მათ მიერ შექმნილ ნებისმიერ სხვა ვებ-საიტზე. თუ წევრმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს ამ შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიებს არ დაეკისროთ სპეციალური გადასახადი ასეთი გამოქვეყნებისათვის.				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე, გადაუხვიონ მეორე პუნქტის მოთხოვნიდან.
	ცენტრალური ელექტრონული პლატფორმის გარდა, სხვა ვებ-გვერდის გამოყენებისას, უნდა მიეთითოს ვებ-საიტის გამოყენების თაობაზე, რაც უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე საერთო კრებისთვის დადგენილ დღემდე სულ მცირე 1 თვით ადრე. ეს მითითება უნდა მოიცავდეს დაყოფის საპროექტო ტერმინების გამოქვეყნების თარიღს და უნდა იყოს ხელმისაწვდომი				ას	აღნიშნული ნორმა ქართული კანონმდებლობისთვის არ არის რელევანტური, ვინაიდან ცენტრალური ელექტრონული პლატფორმა მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, საქართველო კი ასეთ პლატფორმაში არ არის ჩართული.

	საზოგადოებისთვის უფასოდ. ამგვარი გამოქვეყნებისათვის კომპანიებს არ ეკისრებათ სპეციალური საფასური.					
	მესამე და მეოთხე პუნქტებით გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასურის აკრძალვა არ მოქმედებს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობებზე, გადასცენ კომპანიებს ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმასთან დაკავშირებული ხარჯები.				ას	აღნიშნული ნორმა ქართული კანონმდებლობისთვის არ არის რელევანტური, ვინაიდან ცენტრალური ელექტრონული პლატფორმა მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, საქართველო კი ასეთ პლატფორმაში არ არის ჩართული.
	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მოსთხოვონ კომპანიებს, შეინარჩუნონ ინფორმაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში საერთო კრების დასრულებიდან თავიანთ ვებგვერდზე ან, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე ან დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს დანიშნულ სხვა ვებგვერდზე. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა განსაზღვრონ ვებგვერდზე ან ცენტრალურ ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომის დროებითი შეფერხების შედეგები, რომლებიც გამოწვეულია ტექნიკური ან სხვა ფაქტორით.				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.
5.1	გაყოფა მოითხოვს მინიმუმ გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის აქციონერთა კრების დამტკიცებას. ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო უმრავლესობასთან, მათი მოქმედების სფეროსთან და განცალკევებული ხმების საჭიროებასთან მიმართებით გამოიყენება 78/855/EEC დირექტივის მე-7 მუხლი.	№1 №1	68.1 68.3	გადაწყვეტილებას შერწყმის/გაყოფის შესახებ იღებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა კრება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმების 3/4-ის უმრავლესობით, სხვა შემთხვევებში კი - ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად. თუ შერწყმის/გაყოფის მონაწილე სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება აქციათა ყველა კლასის მფლობელთათვის ცალ-ცალკე, თუ მათ უფლებებზე გავლენას ახდენს შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება.	სშ	
5.2	როდესაც მიმღებ კომპანიებში არსებული წილები ნაწილდება გასაყოფი კომპანიის აქციონერთა შორის, აღნიშნული კომპანიის კაპიტალზე მათი უფლებების არაპროპორციულად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ აღნიშნული კომპანიის მინორიტარ აქციონერებს შეეძლოთ				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.

	მათი წილების გაყიდვის უფლების განხორციელება. ასეთ შემთხვევაში, მათ აქვთ უფლება მიიღონ მათი წილების ღირებულების შესაბამისი ანაზღაურება. ასეთ ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს, რომ ანაზღაურება განსაზღვროს სასამართლომ.					
6	წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობები არ საჭიროებს მიმღები კომპანიის აქციონერთა კრების მიერ გაყოფის დამტკიცებას, თუ კმაყოფილება შემდეგი პირობები: (a) მე-4 მუხლში მითითებული გასაჯაროება თითოეული მიმღები კომპანიისთვის უნდა განხორციელდეს გასაყოფი კომპანიის აქციონერთა იმ კრებისთვის დადგენილ თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით, რომელზეც მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაყოფის გეგმის შესახებ; (b) (a) პუნქტში მითითებულ თარიღამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, თითოეული მიმღები კომპანიის ყველა აქციონერს უნდა ჰქონდეს უფლება, შეამოწმოს მე-9(1) მუხლში განსაზღვრული დოკუმენტები ამ კომპანიის იურიდიულ მისამართზე. (c) ნებისმიერი მიმღები კომპანიის ერთ ან მეტ აქციონერს, რომელიც ფლობს განთავსებული სააქციო კაპიტალის მინიმალურ პროცენტს, უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი მიმღები კომპანიის აქციონერთა კრების მოწვევა გაყოფის დამტკიცებაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი მინიმალური პროცენტული მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ გაანგარიშებიდან გამორიცხონ ხმის უფლების არმქონე აქციები. 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-9 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები.				ას	დირექტივის აღნიშნული დებულება არაიმპერატიული ხასიათისაა და ის წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, არ დააწესონ პარტნიორთა კრების მიერ გაყოფის დამტკიცების სავალდებულობა, თუმცა კანონპროექტის ავტორები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ უფლებას არ იყენებენ.
7.1	გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოები შეიმუშავენ დეტალურ წერილობით ანგარიშს, რომელშიც ახსნიან გაყოფის გეგმის პირობებს და განსაზღვრავენ მათ სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, კერძოდ, წილთა გაცვლით თანაფარდობას და წილთა განაწილების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს.	№1	70.1. „ა“ და „ბ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ შერწყმის/გაყოფის ანგარიშს, რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის დებულებებს, მათ სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს; ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მეთოდებს, აგრეთვე გადაცვლის თანაფარდობის შეფასებისას წარმოშობილ სიძნელეებს, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა.	სშ	

7.2	ანგარიშში ასევე აღწერილი უნდა იქნეს ყველა კონკრეტული სირთულე, რომელიც წარმოიქმნება შეფასებისას. სადაც საჭიროა, მან უნდა გაამჟღავნოს ანგარიშის მომზადება მიმღები კომპანიებისთვის არაფულადი ანაზღაურების შესახებ, რომელზეც მიუთითებს 77/91/EEC დირექტივის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, და ასევე რეესტრი, რომელსაც უნდა წარედგინოს აღნიშნული ანგარიში.	№1	70.1. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ შერწყმის/გაყოფის ანგარიშს, რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: გ) გაყოფის დროს, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას ამ კანონის 166-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული არაფულადი შენატანის შესახებ, შემდგომი სააქციო საზოგადოებებისთვის ანგარიშის მომზადების შესახებ და მითითებას მის რეგისტრაციაზე მარეგისტრირებელ ორგანოში.	სშ	
7.3	გასაყოფი კომპანიის ადმინისტრაციულმა ან მართვის ორგანოებმა უნდა შეატყობინონ აღნიშნული კომპანიის აქციონერთა კრებას და მიმღები კომპანიების ადმინისტრაციულ ან მართვის ორგანოებს, რათა მათ შეატყობინონ თავიანთ შესაბამის აქციონერთა კრებას, გაყოფის გეგმის მომზადების თარიღიდან გაყოფის გეგმის გადასაწყვეტად მოწვეული გასაყოფი კომპანიის აქციონერთა კრების თარიღამდე აქტივებსა და ვალდებულებებში განხორციელებული ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ.	№1	71.3	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორთა კრებასა და შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს აცნობოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის მომზადების თარიღიდან კრების ჩატარების თარიღამდე პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.	სშ	
8.1	გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის სახელით მოქმედი, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი ერთი ან მეტი ექსპერტი, რომელსაც ნიშნავს ან ამტკიცებს სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანო, ამოწმებს გაყოფის გეგმას და აქციონერთათვის ადგენს წერილობით ანგარიშს. თუმცა, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებს შეუძლია დააწესოს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის დანიშვნა გაყოფაში მონაწილე ყველა კომპანიისთვის, თუ ასეთ დანიშვნას ახორციელებს სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანო, აღნიშნული კომპანიების ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე. ასეთ ექსპერტები, თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, შესაძლებელია იყვნენ ფიზიკური ან იურიდიული პირები, კომპანიები ან ფირმები.	№1	72.1	თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილეობს სააქციო საზოგადოება, შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამოწმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი საერთო აუდიტორი. აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას პარტნიორებისთვის. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა არ არის საჭირო, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.	სშ	

8.2	2. გამოიყენება 78/855/EEC დირექტივის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.	№1	72.2	დასკვნაში მოცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასება, არის თუ არა გეგმის პროექტით გათვალისწინებული წილების გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი. დასკვნაში მოცემული უნდა იყოს: ა) გადაცვლის თანაფარდობის დადგენისთვის გამოყენებული მეთოდი; ბ) შეფასებას, რამდენად არის გამოყენებული მეთოდი ადეკვატური მოცემული შემთხვევისათვის, რა თანაფარდობა დგინდება თითოეული მეთოდის გამოყენების შედეგად და, აგრეთვე, გადაცვლის თანაფარდობის დადგენისას თითოეული გამოყენებული მეთოდის ხვედრითი წილი; გ) გადაცვლის თანაფარდობის დადგენისას წარმოშობილი სიმწელებები ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	
		№1	72.3	დამოუკიდებელი აუდიტორი უფლებამოსილია, სააქციო საზოგადოებისგან მიიღოს და გამოიკვლიოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.		
9.1. (a)	ყველა აქციონერს აქვს სულ მცირე შემდეგი დოკუმენტების გამოკვლევის უფლება იურიდიულ მისამართზე, გაყოფის გეგმის გადაწყვეტი აქციონერთა კრებისთვის დადგენილ თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე: (a) გაყოფის გეგმის პროექტი;	№1	71.2. „ა“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:	სშ	

9.1.(b)	გაყოფაში მონაწილე კომპანიების წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები და წინა სამი ფინანსური წლის წლიური ანგარიშები;	№1	71.2. „ბ“	ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი; შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით;	სშ	
9.1.(c)	სადაც საჭიროა, ბუღალტრული ანგარიშგება, რომელიც შედგენილია გაყოფის გეგმის თარიღამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ დღეს, თუ უკანასკნელი წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები დაკავშირებულია ფინანსურ წელთან, რომელიც დასრულდა აღნიშნულ დღემდე არანაკლებ 6 თვით ადრე;	№1	71.2. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის	სშ	

				შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება;		
9.1.(d)	სადაც საჭიროა, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული, გაყოფაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციული და მართვის ორგანოების ანგარიშები;	№1	71.2. „დ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში ასეთის არსებობის შემთხვევაში;	სშ	
9.1.(e)	სადაც, საჭიროა, მე-8 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშები.	№1	71.2. „ე“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში ასეთის არსებობის შემთხვევაში;	სშ	
	1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ბუღალტრული ანგარიშგება არ უნდა იქნეს მოთხოვნილი, თუ კომპანია 2004/109/EC დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად, გამოაქვეყნებს ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშს და მას	№1	71.2. „გ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით,	სშ	

	აქციონერთათვის ხელმისაწვდომს გახდის ამ პუნქტის შესაბამისად.			სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარიწლის ფინანსური ანგარიშგება;		
9.2	1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული ანგარიშგება უნდა შედგეს უკანასკნელი წლიური ბალანსის შედგენისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ფორმატის გამოყენებით.	№1	71.2. „ბ“	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით;	სშ	
	თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობამ შესაძლებელია უზრუნველყოს, რომ: (ა) არ იყოს აუცილებელი ახალი ფიზიკური ინვენტარი;				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში

	(b) უკანასკნელ ბალანსში ნაჩვენები ღირებულების შეფასება შეიცვალა მხოლოდ იმიტომ, რომ აისახოს საბუღალტრო წიგნებში შესული შენატანები; მიუხედავად ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: — შუალედური ცვეთა და რეზერვები, — მატერიალური ცვლილებები ფაქტობრივ ღირებულებაში, რომელიც არ აისახება წიგნებში.					მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.
9.3	ყველა აქციონერს, მოთხოვნის საფუძველზე, უფლება აქვს 1-ელ პუნქტში მითითებული დოკუმენტების ასლები უსასყიდლოდ მიიღოს სრულად, ან სურვილის შემთხვევაში, ნაწილობრივ. როდესაც აქციონერი თანახმაა კომპანიის მხრიდან ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული საშუალებების გამოყენებაზე, ასეთი ასლების მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.				ას	დირექტივის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მეორე აბზაცი იძლევა ამავე მუხლის მე-3 პუნქტიდან გადახვევის შესაძლებლობას, აქედან გამომდინარე, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არაა შესასრულებლად სავალდებულო.
9.4	კომპანია უნდა გათავისუფლდეს პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების იურიდიულ მისამართზე ხელმისაწვდომობის ვალდებულებისგან, თუ, განუწყვეტელი პერიოდის განმავლობაში, საერთო კრებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, რომელიც ტარდება დაყოფის პირობების შემუშავებისათვის, და მინიმუმ ამ კრების გადაწყვეტილების მიღებამდე, ის მათ ხელმისაწვდომს გახდის თავის ვებგვერდზე. წევრმა სახელმწიფოებმა ეს გამონაკლისები შეზღუდვებზე და მოთხოვნებზე არ უნდა დააწესონ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხოებისა და დოკუმენტების ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პროპორციულია ამ მიზნების მისაღწევად. მე-3 პუნქტი არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუ ვებგვერდი აქციონერებს აძლევს ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების ჩამოტვირთვისა და ასლის გადაღების შესაძლებლობას. თუმცა, ამ შემთხვევაში წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა უზრუნველყონ, რომ კომპანია დოკუმენტებს ხელმისაწვდომს გახდის თავის იურიდიულ მისამართზე აქციონერთა მიერ კონსულტაციისთვის.	№1	71.2	შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, საზოგადოების აქციონერთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობის მიზნით, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი; ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით; გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს	სშ	

	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მოსთხოვონ კომპანიებს საერთო კრების დასრულების შემდეგ თავიანთ ვებგვერდზე ინფორმაციის შენარჩუნება. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა განსაზღვრონ ვებგვერდზე წვდომის დროებითი შეფერხების შედეგები, რომლებიც გამოწვეულია ტექნიკური ან სხვა ფაქტორით.			მესამე თვის პირველ რიცხვში; სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება; დ) შერწყმის/გაყოფის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.		
10.1	გაყოფის გეგმის შემოწმება და მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ექსპერტის ანგარიშის წარმოდგენა არ იქნება საჭირო თუ აღნიშნულზე გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის ყველა აქციონერი და ხმის უფლების მქონე სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელები შეთანხმდებიან.	№1	72.1	თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილეობს სააქციო საზოგადოება, შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამოწმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი საერთო აუდიტორი. აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას პარტნიორებისთვის. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა არ არის საჭირო, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.	სშ	
10.2	წევრი სახელმწიფოები შესაძლებელია შეთანხმდნენ მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) და (d) ქვეპუნქტების გამოუყენებლობაზე, თუ აღნიშნულზე გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის ყველა აქციონერი და ხმის უფლების მქონე სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელები შეთანხმდებიან.				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.
11	გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის თანაშრომელთა უფლებების დაცვა რეგულირდება 77/187/EEC დირექტივის შესაბამისად.				ას	დასაქმებულების უფლებების დაცვა არ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეგულირების საგანს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დირექტივის მე-11 მუხლში მითითებული 77/187/EEC დირექტივა გაუქმებულია 2001/23/EC დირექტივით,

						რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართის თანახმად, უნდა შესრულდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადაში. შესაბამისად, დასაქმებულთა უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც, თავის მხრივ, თანხვედრაშია მოცემულ მუხლში მითითებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან.
12.1	1. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებმა უნდა უზრუნველყონ დაცვის ადეკვატური სისტემა გაყოფაში მონაწილე კომპანიების იმ კრედიტორთა ინტერესებისთვის, რომელთა მოთხოვნებიც წინ უსწრებს გაყოფის გეგმის გამოქვეყნებას და რომელთა განხორციელების ვადაც გამოქვეყნების მომენტისთვის ჯერ არ დამდგარა.	№1	76.1	რეორგანიზაციაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში, უფლება აქვთ მოითხოვონ სამეწარმეო საზოგადოებისგან მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუ დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოთხოვნის უფლება აქვთ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც წარმოიშვა გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების ან შერწყმის/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე.	სშ	
12.2	2. ამ მიზნით, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებმა, სულ მცირე უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთ კრედიტორებს გააჩნდეთ ადეკვატური დაცვის გარანტიების მოპოვების უფლება, თუ ფინანსური მდგომარეობა გასაყოფი კომპანიისა და იმ კომპანიისა, რომელსაც გადაეცემა ვალდებულება გაყოფის გეგმის შესაბამისად, აუცილებელს ხდის ასეთი დაცვის არსებობას და თუ აღნიშნულ კრედიტორებს უკვე არ გააჩნიათ ასეთი გარანტიები. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ 1-ელ პუნქტსა და წინამდებარე პუნქტის 1-ელ ქვეპუნქტში აღნიშნული დაცვის პირობები. ნებისმიერ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კრედიტორებს ჰქონდეთ უფლება, მიმართონ შესაბამის ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებს დაცვის სათანადო გარანტიებთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ ისინი სარწმუნოდ დაადასტურებენ, რომ კომპანიის გაყოფიდან გამომდინარე, მათ გააჩნიათ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება და რომ კომპანიისგან მათ არ მიუღიათ დაცვის სათანადო გარანტიები.					
12.3	ვიდრე იმ კომპანიის კრედიტორი, რომელსაც გადაეცა ვალდებულება გაყოფის გეგმის შესაბამისად, არ იქნება დაკმაყოფილებული, მიმდები კომპანიები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი აღნიშნულ ვალდებულებაზე. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება თითოეული აღნიშნული კომპანიისთვის გადაცემული წმინდა აქტივების ფარგლებში, გარდა იმ	№1	67.10	შერწყმის შემთხვევაში, გაერთიანებული/შემდენი სამეწარმეო საზოგადოება პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც გააჩნდა შერწყმულ სამეწარმეო საზოგადოებებს. გაყოფის შემთხვევაში, ახლად დაფუძნებული/შემდენი სამეწარმეო	სშ	

	კომპანიის, რომელსაც გადაეცა ვალდებულება. თუმცა, ისინი არ საჭიროებენ ამ პუნქტის გამოყენებას, თუ გაყოფის ოპერაცია 23-ე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სასამართლო ხელისუფლების ორგანოს ზედამხედველობას, ხოლო რაოდენობრივი უმრავლესობა, რომელიც წარმოადგენს გასაყოფი კომპანიის კრედიტორების ან ნებისმიერი კლასის კრედიტორების სამ მეოთხედს, 23(1)(c)-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებულ შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ უარი თქვან აღნიშნულ სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე.			საზოგადოებები გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ სოლიდარულად. ეს პასუხისმგებლობა იზღუდება გაყოფით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივის ოდენობით.		
12.4	გამოიყენება 78/855/EEC დირექტივის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.				ას	78/855/EEC დირექტივის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, თავისმხრივ, დისპოზიციური ხასიათისაა და, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის, მისი ასახვა არ არის სავალდებულო.
12.5	უფლებების კოლექტიურად განხორციელების მარეგულირებელი წესებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, 1-4 პუნქტები ვრცელდება გაყოფაში მონაწილე კომპანიების ობლიგაციების მფლობელებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაყოფა დამტკიცებულია ობლიგაციების მფლობელთა კრებით, თუ ასეთი კრება გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ან ობლიგაციების მფლობელთა მიერ ინდივიდუალურად.	№1	76.1	რეორგანიზაციაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში, უფლება აქვთ მოითხოვონ სამეწარმეო საზოგადოებისგან მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუ დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოთხოვნის უფლება აქვთ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნა წარმოიშვა გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების ან შერწყმის/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე.	სშ	
		№1	76.2	ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება რეორგანიზაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოებების ობლიგაციების მფლობელების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რეორგანიზაცია დამტკიცებულ იქნა ობლიგაციების მფლობელების კრების მიერ ან თითოეული მფლობელის მიერ ინდივიდუალურად.		
12.6	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემოიღონ მიმღები კომპანიების სოლიდარული პასუხისმგებლობა გასაყოფი კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთ შემთხვევაში, საჭირო არაა მათ მიერ ზემოთხსენებული პუნქტების გამოყენება.	№1	67.10	შერწყმის შემთხვევაში, გაერთიანებული/შემძენი სამეწარმეო საზოგადოება პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც გააჩნდა შერწყმულ სამეწარმეო საზოგადოებებს.	სშ	

				გაყოფის შემთხვევაში, ახლად დაფუძნებული/შემძენი სამეწარმეო საზოგადოებები გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ სოლიდარულად. ეს პასუხისმგებლობა იზღუდება გაყოფით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივის ოდენობით.		
12.7	თუ წევრი სახელმწიფო 1-5 პუნქტებში განსაზღვრულ კრედიტორთა დაცვის სისტემას აერთიანებს მე-6 პუნქტში მითითებულ მიმღებ კომპანიათა სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან, მას შეუძლია შეზღუდოს ასეთი სოლიდარული პასუხისმგებლობა თითოეული აღნიშნული კომპანიისთვის გადაცემული წმინდა აქტივების ფარგლებში.	№1	67.10	შერწყმის შემთხვევაში, გაერთიანებული/შემძენი სამეწარმეო საზოგადოება პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც გააჩნდა შერწყმულ სამეწარმეო საზოგადოებებს. გაყოფის შემთხვევაში, ახლად დაფუძნებული/შემძენი სამეწარმეო საზოგადოებები გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ სოლიდარულად. ეს პასუხისმგებლობა იზღუდება გაყოფით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივის ოდენობით.	სშ	
13	პირებს, რომლებიც ფლობენ ფასიან ქაღალდებს, გარდა სპეციალური უფლებების მქონე აქციებისა, უნდა მიეცეთ უფლებები მიმღებ კომპანიებში, სადაც მათ შეეძლება მოითხოვონ აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გაყოფის გეგმის შესაბამისად; აღნიშნული უფლებები უნდა წარმოადგენდეს გასაყოფ კომპანიაში სულ მცირე მათ მფლობელობაში არსებული უფლებების ექვივალენტს, თუ ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელთა კრებამ არ დაამტკიცა აღნიშნული უფლებების შეცვლა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კრება გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ან ინდივიდუალურად ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიერ, ან თუ მფლობელებს გააჩნიათ თავიანთი ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის უფლება.	№1	76.3	წილის/აქციის გარდა სხვა ფასიანი ქაღალდის მფლობელებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული უფლებები, უნდა მიეცეთ იგივე უფლებები ახლად დაფუძნებულ/შემძენ /გარდაქმნილ სამეწარმეო საზოგადოებაში, რაც ჰქონდათ რეორგანიზაციაში მყოფ სამეწარმეო საზოგადოებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულ უფლებებში ცვლილებები დამტკიცებულ იქნა ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელების კრების მიერ ან თითოეული მფლობელის მიერ ინდივიდუალურად, ან მოქმედებს პირობა, რომ ამ უფლებათა მფლობელებს ექნებათ ახლად დაფუძნებული/ შემძენი/გარდაქმნილი კომპანიისგან ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება.	სშ	
14	თუ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობები არ ითვალისწინებს გაყოფის კანონიერების პრევენციულ სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, ან				ას	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ზედამხედველობა.

	თუ ასეთი ზედამხედველობა არ ვრცელდება გაყოფისთვის საჭირო ყველა სამართლებრივ აქტზე, ვრცელდება 78/855/EEC დირექტივის მე-16 მუხლი.					შესაბამისად, არ მოითხოვება დოკუმენტების შედგენის და დამოწმების განსხვავებული ფორმა.
15	წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს დღე, როდესაც გახორციელდება გაყოფა.	№1	75.4	შერწყმა/გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის შემდეგ დაუშვებელია შერწყმის/გაყოფის შესახებ საზოგადოების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება.	სშ	
16	1. გაყოფა უნდა გასაჯაროვდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 68/151/EEC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად, გაყოფაში მონაწილე თითოეულ კომპანიასთან მიმართებით. 2. ნებისმიერ მიმღებ კომპანიას შეუძლია თავად განახორციელოს კომპანიის გაყოფასთან დაკავშირებული გამოქვეყნების ფორმალობები.	№1	75.4	შერწყმა/გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის შემდეგ დაუშვებელია შერწყმის/გაყოფის შესახებ საზოგადოების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება.	სშ	
17.1	კანონის ძალით და ერთდროულად გაყოფას გააჩნია შემდეგი შედეგები: (ა) გადაცემა როგორც გასაყოფ კომპანიასა და მიმღებ კომპანიებს შორის, ასევე, მესამე მხარეებთან მიმართებით, გასაყოფი კომპანიის ყველა აქტივისა და ვალდებულებების თითოეული მიმღები კომპანიისთვის; ასეთი გადაცემა ძალაში შედის გაყოფის გეგმაში ან მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული განაწილების შესაბამისად აქტივებისა და ვალდებულებების გაყოფით; (ბ) გასაყოფი კომპანიის აქციონერები ხდებიან ერთი ან მეტი მიმღები კომპანიის აქციონერები, გაყოფის გეგმაში მოცემული განაწილების შესაბამისად;	№1	67.3	სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დაყოფას, შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილები კანონის ძალით სრულად: ა) გადასცეს ორ ან მეტ, დაყოფის შედეგად ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას (დაყოფა დაფუძნებით); ბ) გადასცეს ორ ან მეტ, უკვე არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას (დაყოფა შეძენით).	სშ	
		№1	67.4	სამეწარმეო საზოგადოებას, რომლისგანაც ხორციელდება გამოყოფა, შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილი ან ნაწილები: ა) გადასცეს ერთ ან მეტ, გამოყოფის შედეგად ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას (გამოყოფა დაფუძნებით); ბ) გადასცეს ერთ ან მეტ, უკვე არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას (გამოყოფა შეძენით).		
		№1	69.2.	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:		

				გ) შემძენ/ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებებში წილების გაცემასთან დაკავშირებულ პირობებს; ი) გაყოფისას, შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისთვის გადასაცემი აქტივისა და ვალდებულებების ამომწურავ აღწერასა და განაწილებას; კ) გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებისთვის შემძენი/ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების წილების მიკუთვნებას და იმ კრიტერიუმის მითითებას, რომლის საფუძველზეც მოხდა ასეთი მიკუთვნება;		
		№1	69.4	თუ გაყოფის გეგმით რომელიმე აქტივი არ არის მიკუთვნებული შემძენი ან ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისათვის და მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ეს აქტივი მიეკუთვნება ყველა შემძენ ან ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივების პროპორციულად.		
		№1	69.5	თუ გაყოფის გეგმით რომელიმე ვალდებულება არ არის მიკუთვნებული შემძენი ან ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებისათვის და მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ყველა შემძენი ან ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოება ამ ვალდებულებისათვის სოლიდარულადაა პასუხისმგებელი, მაგრამ არა უმეტეს გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივისა.		
	(c) გასაყოფი კომპანია წყვეტს არსებობას.	№1	75.5	შერწყმის/გაყოფის რეგისტრაციასთან ერთად მიერთებული ან დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.	სშ	

17.2	მიმღები კომპანიის წილები არ იცვლება გასაყოფი კომპანიის წილებზე: (ა) არც თავად მიმღები კომპანიის მიერ ან თავისი სახელით, მაგრამ ამ კომპანიის ნაცვლად მოქმედი პირის მიერ; ან	№1	67.6. „ა“	დაუშვებელია შემძენი სააქციო საზოგადოების აქციების მიცემა გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების იმ აქციების სანაცვლოდ: ა) რომლის მფლობელია შემძენი სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს შემძენი სააქციო საზოგადოების დავალებით;	სშ	
	(ბ) თავად გასაყოფი კომპანიის მიერ ან თავისი სახელით, მაგრამ ამ კომპანიის ნაცვლად მოქმედი პირის მიერ.	№1	67.6. „ბ“	დაუშვებელია შემძენი სააქციო საზოგადოების აქციების მიცემა გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების იმ აქციების სანაცვლოდ: ბ) რომლის მფლობელია გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების დავალებით.	სშ	
17.3	ზემოთხსენებული გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებზე, რომლებიც ითხოვს მესამე პირებთან მიმართებით გასაყოფი კომპანიის მიერ გარკვეული აქტივების, უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის ნამდვილობისთვის სპეციალური ფორმალური პროცედურების შესრულებას. მიმღებ კომპანიას ან კომპანიებს, რომელთაც გადაეცემათ აქტივები, უფლებები და ვალდებულებები გაყოფის გეგმის ან მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლიათ თავად განახორციელონ აღნიშნული ფორმალობები; თუმცა, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებს შეუძლია გასაყოფი კომპანიას მიანიჭონ უფლება, რომ განაგრძოს აღნიშნული ფორმალობების განხორციელება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, რომელიც, გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, არ შეიძლება განისაზღვროს გაყოფის განხორციელების დღიდან 6 თვეზე მეტი დროით;				ას	აღნიშნული დებულება დისპოზიციური ხასიათისაა და, ტრანსპარანსის მიზნებისთვის, მისი კანონმდებლობაში ასახვა არ არის აუცილებელი.
18	წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებმა უნდა დაადგინოს სულ მცირე სამოქალაქო პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესები გასაყოფი კომპანიის აქციონერების წინაშე ამ კომპანიის ადმინისტრაციული ან მართვის ორგანოების წევრების პასუხისმგებლობისთვის, გაყოფის მომზადებისა და განხორციელებისას აღნიშნული ორგანოების წევრთა მხრიდან გადაცდომის შემთხვევაში და ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესები,	№1	51.1	ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუმდგენ მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმობებით, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ემოქმედა ხელმძღვანელს, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს	სშ	

	აღნიშნული კომპანიისთვის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის შედგენაზე პასუხისმგებელი ექსპერტებისთვის, ამ ექსპერტების მიერ საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას გადაცდომის შემთხვევაში.	№1	51.3	ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია სამეწარმეო საზოგადოებისათვის.		
		№1	51.4	ხელმძღვანელი პირი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული დარღვევით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მოვალეობის განზრახ დარღვევისთვის.		
		№1	57.1	ხელმძღვანელი პირის მიერ სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ: ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით -თითოეულ პარტნიორს. წესდებით შეიძლება დამატებით განისაზღვროს ის პირი, ვისაც აქვს სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.		
		№1		ვალდებულებების რამდენიმე ხელმძღვანელის მოქმედებით ან უმოქმედობით დარღვევის შემთხვევაში, ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს სამეწარმეო საზოგადოების წინაშე.		
19	1. წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებს შეუძლია განსაზღვროს გაყოფის ბათილობის წესები მხოლოდ შემდეგი პირობების შესაბამისად: (ა) ბათილობა უნდა გამოცხადდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით;				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.

(b) გაყოფა, რომელიც განხორციელდა მე-15 მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია გამოცხადდეს ბათილად მხოლოდ მაშინ, თუ არ განხორციელებულა მისი კანონიერების პრევენციული სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ზედამხედველობა, ან თუ იგი არ შედგა და დამოწმდა სათანადო სამართლებრივი ფორმით, ან თუ აღმოჩნდა, რომ აქციონერთა კრების გადაწყვეტილება არის ბათილი ან ექვემდებარება ბათილობას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად; (c) ბათილობის პროცესი არ შეიძლება დაიწყოს გაყოფის ამოქმედების თარიღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ბათილად მცნობი პირის წინააღმდეგ, ან იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია უკვე გამოსწორდა; (d) თუ შესაძლებელია იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც შესაძლოა იყოს გაყოფის ბათილობის დაწყების საფუძველი, განსჯადმა სასამართლომ უნდა მისცეს მონაწილე კომპანიებს გარკვეული დროის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც მათ უნდა გამოასწორონ სიტუაცია; (e) გადაწყვეტილება გაყოფის ბათილობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 68/151 /EEC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად; (f) თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ნებას რთავს მესამე პირს, გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება, მან ეს უნდა განახორციელოს 68/151/EEC დირექტივით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს ექვსი თვის განმავლობაში. (g) გადაწყვეტილება გაყოფის ბათილობის შესახებ თავისთავად გავლენას არ ახდენს მიმღები კომპანიების ან მათთან დაკავშირებული იმ ვალდებულებების ნამდვილობაზე, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, ასევე მე-15 მუხლში მითითებული თარიღის შემდეგ; (h) თითოეული მიმღები კომპანია პასუხისმგებელია გაყოფის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ და გაყოფის ბათილობის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღამდე წარმოშობილ ვალდებულებებზე. გასაყოფი კომპანია ასევე არის პასუხისმგებელი ასეთ ვალდებულებებზე; წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ასეთი ვალდებულება შემოიფარგლებოდეს წმინდა აქტივების				
--	--	--	--	--

	წილით, რომელიც გადაეცა მიმღებ კომპანიას, რომლის მიმართაც წარმოიშვა ასეთი ვალდებულებები. 2. 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტიდან გამონაკლისის სახით, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებს შეუძლია ასევე უზრუნველყოს, რომ გაყოფის ბათილობა გამოაცხადოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანომ, თუ ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში. (ბ), (დ), (ე), (ფ), (გ), და (h) ქვეპუნქტები ანალოგიით გავრცელდება ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოზე. ასეთი ბათილობის პროცესი არ შეიძლება დაიწყოს მე-15 მუხლში მითითებული თარიღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. 3. ზემოთხსენებული გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებზე გაყოფის ბათილობის შესახებ, რომელიც ცხადდება კანონიერების ზედამხედველობის საფუძველზე.					
20	მე-6 მუხლის შეუზღუდავად, წევრ სახელმწიფოებს არ ესაჭიროებათ გასაყოფი კომპანიის აქციონერთა კრების მიერ გაყოფის დამტკიცება, თუ მიმღები კომპანიები ერთად ფლობენ გასაყოფი კომპანიის ყველა წილს და გასაყოფი კომპანიის აქციონერთა კრებაზე ხმის უფლების მქონე ყველა სხვა ფასიან ქაღალდს და თუ შესრულებულია შემდეგი პირობები: (ა) ოპერაციაში მონაწილე თითოეულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესით გასაჯაროება, ოპერაციის ამოქმედებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე; (ბ) ოპერაციის ამოქმედებამდე არა ნაკლებ ერთი თვით ადრე, ოპერაციაში მონაწილე კომპანიების ყველა აქციონერს აქვს მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გამოკვლევის უფლება კომპანიის იურიდიულ მისამართზე. (d) თუ გაყოფის დასამტკიცებლად მოთხოვნილი გასაყოფი კომპანიის აქციონერთა კრება არ არის მოწვეული, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს აქტივებსა და ვალდებულებებში ნებისმიერ არსებით ცვლილებას, რომელიც განხორციელდა გაყოფის გეგმის მომზადების თარიღის შემდეგ. პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-9 მუხლის მე-2, 3 და მე-4 ქვეპუნქტები და მე-10 მუხლი.	№1	74.3	თუ შემძენი სამეწარმეო საზოგადოებები ფლობენ გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების მთელ წილებს, გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება არ საჭიროებს გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებას.	სშ	კანონპროექტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ჩვეულებრივად, გავრცელდება ამ შემთხვევაზე.

21.1	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, „ახალი კომპანიების დაფუძნების გზით გაყოფა“ გულისხმობს ოპერაციას, რომლის დროსაც კომპანია ლიკვიდაციის განხორციელების გარეშე საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ერთზე მეტ ახლად ჩამოყალიბებულ კომპანიას გადასცემს თავის ყველა აქტივს და ვალდებულებას, გასაყოფი კომპანიის აქციონერებისთვის მიმღებ კომპანიაში წილების გადაცემის და, შესაძლოა, ნაღდი ანგარიშსწორების სანაცვლოდ, რომელიც არ აღემატება გადაცემული წილების ნომინალური ღირებულების, ან ნომინალური ღირებულების არ არსებობის შემთხვევაში, მათი აღრიცხვითი ღირებულების 10%-ს.	№1	67.3. „ა“	სამეწარმეო საზოგადოებას რომელიც უნდა დაექვემდებაროს დაყოფას, შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილები კანონის ძალით სრულად: ა) გადასცეს ორ ან მეტ ახლად დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას (დაყოფა დაფუძნებით) ამ მუხლის პირველ-მე-4 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, გაერთიანებულ/შემდგენ სამეწარმეო საზოგადოებაში ყოფილი სამეწარმეო საზოგადოების/საზოგადოებების პარტნიორებს წილების მიღების გარდა, აქვთ უფლება, მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ შეუძლებელია წილების გაცვლის თანაფარდობის დაცვა. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შერწყმის/გაყოფის მიზნებისთვის პარტნიორებზე გასაცემი წილების ნომინალური ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო თუ წილებს არ აქვთ ნომინალური ღირებულება, ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების 10 პროცენტს.	სშ	
21.2	გამოიყენება 78/855/EEC დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი.	№1	67.7	შერწყმა/გაყოფა შეიძლება განხორციელდეს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოებების მიმართაც, იმ შემთხვევაში, თუ არ დაწყებულა სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორებზე.	სშ	
22.1	ახალი კომპანიების დაფუძნებით გაყოფაზე ვრცელდება წინამდებარე დირექტივის მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 მუხლები, ასევე მე-8 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები და მე-9-19 მუხლები, 68/151/EEC დირექტივის მე-11 და მე-12 მუხლების შეუზღუდავად. ამ მიზნით, გამოთქმა „გაყოფაში მონაწილე კომპანიები“ გულისხმობს გასაყოფ კომპანიას, ხოლო გამოთქმა	№1	61	1. სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაცია დასაშვებია შემდეგი ფორმით: ა) გარდაქმნა; ბ) შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება); გ) გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).	წმ	მართალია კანონპროექტი ერთმანეთისაგან მიჯნავს გაყოფის განსხვავებულ ფორმებს, თუმცა მათზე ავრცელებს ერთსა და იმავე რეგულირებას, შესაბამისად, დირექტივის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნები,

	„მიმღები კომპანიები“ გულისხმობს თითოეულ ახალ კომპანიას.			2. სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ამ კანონის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული შეტყობინების წესები. 3. ამ თავით გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის წესი ვრცელდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ საინვესტიციო კომპანიებზე, თუ იმავე კანონით ან მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.		კანონპროექტის თანახმად, დაფუძნებით გაყოფაზე ისევე ვრცელდება, როგორც შემენით გაყოფაზე, შესაბამისად წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის რელევანტურია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის VIII თავი სრულად.
22.2	გარდა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციისა, გაყოფის გეგმის პროექტი უნდა ასახავდეს თითოეული ახალი კომპანიის ფორმას, სახელსა და იურიდიულ მისამართს.	№1	69.2. „ა“	შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: ა) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ასევე მისი და ახლად დაფუძნებული საზოგადოების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს.	სშ	
22.3	გაყოფის გეგმა და, თუ ის წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტში, თითოეული ახალი კომპანიის წესდება ან წესდების პროექტი და სადამფუძნებლო შეთანხმება ან სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი მტკიცდება გასაყოფი კომპანიის აქციონერთა კრებაზე.	№1	73.2	შერწყმის/გაყოფის გეგმასთან ერთად პარტნიორთა კრებაზე კენჭი ეყრება შემძენი სამეწარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების პროექტს, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში - ახალი სამეწარმეო საზოგადოების წესდების პროექტს.	სშ	
22.5	წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ მე-7 და მე-8 მუხლებით და მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის (c), (d) და (e) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, როდესაც თითოეული ახალი კომპანიის წილები განაწილებულია	№1	74.4	თუ გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს თითოეულ ახლად დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების წილები მიენიჭათ გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების	სშ	

	გასაყოფი კომპანიის აქციონერებზე ამ კომპანიის კაპიტალში მათი უფლებების პროპორციულად.			კაპიტალში მათი წილების პროპორციულად, ასეთ შემთხვევაზე არ გავრცელდება ამ კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტით, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-„ე“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით და 72-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.		
23	1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ მე-2 პუნქტი, როდესაც გაყოფის ოპერაციები ექვემდებარება შემდეგი უფლებამოსილებების მქონე სასამართლო ხელისუფლების ორგანოს ზედამხედველობას: (a) გასაყოფი კომპანიის აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით; (b) გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის აქციონერთა მიერ სულ მცირე მე-9 მუხლში მითითებული დოკუმენტების დროულად მიღების ან მოპოვების უზრუნველყოფა, გაყოფაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის მოწვეული თავიანთი კომპანიის აქციონერთა კრების თარიღამდე, აღნიშნული დოკუმენტების შემოწმების მიზნით. როდესაც წევრი სახელმწიფო იყენებს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ არჩევანს, ვადა უნდა იყოს საკმარისად ხანგრძლივი იმისთვის, რომ მიმღები კომპანიის აქციონერებმა შეძლონ აღნიშნული მუხლით მათთვის მინიჭებული უფლებების განხორციელება; (c) გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის კრედიტორთა ნებისმიერი შეხვედრის მოწვევა, გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით; (d) გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის კრედიტორთა მიერ სულ მცირე გაყოფის გეგმის დროულად მიღების ან მოპოვების უზრუნველყოფა (b) ქვეპუნქტში მითითებულ თარიღამდე, აღნიშნული დოკუმენტების შემოწმების მიზნით; (e) გაყოფის გეგმის დამტკიცება. 2. თუ სასამართლო ხელისუფლების ორგანო დაადგენს, რომ 1-ლი პუნქტის (b) და (d) ქვეპუნქტებში მითითებული პირობები შესრულდა და აქციონერებს ან კრედიტორებს არ ადგებათ ზიანი, მას შეუძლია გაყოფაში მონაწილე კომპანიები გაათავისუფლოს: (a) მე-4 მუხლის გამოყენებისგან, იმ პირობით, რომ მე-12 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული კრედიტორთა ინტერესების დაცვის ადეკვატური სისტემა მოიცავს ყველა მოთხოვნას, მათი თარიღის მიუხედავად;				ას	აღნიშნული დებულების ასახვა არ არის სავალდებულო, ვინაიდან ის არაიმპერატიული ხასიათისაა და მასში მითითებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლებაზე.

	(b) მე-6 მუხლის (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებული პირობების გამოყენებისგან, თუ წევრი სახელმწიფო გამოიყენებს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ არჩევანს; (c) მე-9 მუხლის გამოყენებისგან, მასში მითითებული დოკუმენტების გამოკვლევისთვის დადგენილი ვადასა და წესთან მიმართებით.					
24	როდესაც 1-ელ მუხლში განსაზღვრული ერთ-ერთი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უშვებს, რომ ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელია აღმატებოდეს 10%-ს, გამოიყენება I, II და III თავები.				ას	კანონპროექტი არ უშვებს ასეთ შესაძლებლობას, შესაბამისად, ამ ნორმის ტრანსპოზიცია არ არის საჭირო.
25	როდესაც წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უშვებს 1-ელ მუხლში განსაზღვრული ერთ-ერთი ოპერაციის განხორციელებას ისე, რომ გასაყოფმა კომპანიამ არ შეწყვიტოს არსებობა, ვრცელდება I, II და III თავები, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის გამოკლებით.				ას	კანონპროექტის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: „შერწყმის/გაყოფის რეგისტრაციასთან ერთად მიერთებული ან დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.“ აქედან გამომდინარე, დირექტივის აღნიშნული დებულება არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
26	1. წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები ძალაში უნდა შეიყვანონ არაუგვიანეს 1986 წლის 1 იანვრისა, იმ პირობით, რომ აღნიშნულ დღეს ისინი დაუშვებენ იმ ოპერაციების განხორციელებას, რომელზეც ეს დირექტივა ვრცელდება. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას. 2. როდესაც 1-ელ პუნქტში მითითებული თარიღის შემდეგ, წევრი სახელმწიფო გაყოფის ოპერაციებს დაუშვებს, მან ძალაში უნდა შეიყვანოს აღნიშნულ პუნქტში მითითებული დებულებები, იმ დღეს, როდესაც დაუშვებს ასეთი ოპერაციებს. მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას. 3. თუმცა, შესაძლებელია შეიქმნას დებულება 1-ელ პუნქტში მითითებული დებულებების ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადით, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში არარეგისტრირებულ კომპანიებიზე აღნიშნული დებულებების გავრცელებისთვის.				ას	აღნიშნული მუხლის დებულებები მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, შესაბამისად, არ ექვემდებარება ტრანსპოზიციას.

	4. წევრ სახელმწიფოებს არ ესაჭიროებათ მე-12 და მე-13 მუხლების გამოყენება, კონვერტირებადი სასესხო ვალდებულებების და წილებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებთან მიმართებით, თუ, 1-ელ ან მე-2 პუნქტში მითითებული დებულებების ძალაში შესვლის დროისთვის, აღნიშნული მფლობელების პოზიცია გაყოფის შემთხვევაში წინასწარ არის განსაზღვრული გამოშვების პირობებით. 5. წევრ სახელმწიფოებს არ ესაჭიროებათ წინამდებარე დირექტივის გამოყენება გაყოფებზე, ან გაყოფად განხილულ სხვა ოპერაციებზე, რომელთა მოსამზადებლად ან აღსასრულებლად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მოთხოვნილი აქტი ან ფორმალობა უკვე შესრულებულია 1-ელ ან მე-2 პუნქტში მითითებული დებულებების ძალაში შესვლის დროისთვის.					
27	ეს დირექტივა მიემართება წევრ სახელმწიფოებს.				ას	აღნიშნული მუხლი მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, შესაბამისად, არ ექვემდებარება ტრანსპოზიციას.